მე-6 კლასი

მათემატიკის ოლიმპიადის II ტურის ტესტების მიმოხილვა

ტესტი შედგება 12 დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. სავარჯიშოები განსხვავდება სირთულისა და ქულების მიხედვით – ქულები მერყეობს 2-დან 7-მდე. მოსწავლემ უნდა დააფუძნოს თავისი არჩევანი ლოგიკურ და ანალიტიკურ აზროვნებაზე, მარტივ არითმეტიკულ მოქმედებებზე, ტექსტური ინფორმაციის გაანალიზებაზე, რიცხვთა მიმდევრობაზე და ზოგ შემთხვევაში — ვიზუალურ აღქმასა და ლოგიკურ ამოხსნებზე.

არითმეტიკა და რიცხვებზე მოქმედება

მოსწავლემ უნდა შეძლოს არითმეტიკული მოქმედებების სწორად შესრულება (მიმატება, გამოკლება, გაყოფა, გამრავლება), მოქმედებათა მიმდევრობის დაცვით. საჭიროა ამოცანის გაანალიზება და სწორი პასუხის არჩევა.

მაგალითი:

გამოთვალე: 60 ÷ (4 + 2) + 30 × 2 ÷ 5 =

A) 24 B) 22 C) 21 D) 20

ლოგიკური აზროვნება და შედარება

ამოცანების ნაწილი დაკავშირებულია ლოგიკური კავშირების ამოცნობასთან, დღის და საათის ცნობის უნართან, პირობების შედარებასთან და პირობების გაანალიზებასთან. ამ ტიპის ამოცანები ავითარებს მსჯელობისა და მიზეზ-შედეგობრივ კავშირის დანახვის უნარს.

მაგალითი:

ანა ინგლისურს სწავლობს წიგნით, რომელშიც 100 გვერდია. ყოველ დღე ის კითხულობს 12 გვერდს, მაგრამ მომდევნო დღეს 3 გვერდს თავიდან უბრუნდება (იმეორებს წაკითხულს); შემდეგ დღეს ისევ 12 გვერდს კითხულობს, იმის შემდეგ დღეს ისევ ბოლო 3 გვერდს უბრუნდება და ა.შ. მერამდენე დღეს დაასრულებს ანა ამ წიგნის წაკითხვას?

A) მე-10 B) მე-11 C) მე-7 D) მე-6

რიცხვების მიმდევრობა და კანონზომიერება

მოსწავლემ უნდა ამოიცნოს რიცხვთა მიმდევრობაში არსებული კანონზომიერება და განსაზღვროს მომდევნო წევრი ან რამდენიმე წევრი.

მაგალითი:

დააკვირდი მიმდევრობას და დაასახელე შემდეგი რიცხვი:

1; 6; 12; 17; 34; 39; ...

A) 56 B) 44 C) 80 D) 78